სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 02-05-04158

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მეორე კურსის დოქტორანტების: იღუმენ ლუკა (ლევან) ფალავანდიშვილის, დეკანოზ თადეოზ (თენგიზ) ქებაძის, დეკანოზ ღვთისო (ხვიჩა) სეხნიაშვილის მოხსენებითი ბარათების და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიეცეთ რეკომენდაცია საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „თეოლოგიის“ მეორე წლის დოქტორანტებს – ლევან ფალავადიშვილს, თენგიზ ქებაძეს და ხვიჩა სეხნიაშვილს, რომ მეორე სემინარი და მეორე კოლოკვიუმი ჩააბარონ 2018 წლის 10 მარტს;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**